პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 233
(7044)
6 1981 წ.
დეკემბერი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ
„ზარია
ვოსტოკას“
პრიზზე

ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ“ ის სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომელიც სახავს ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ახლებურად გააზრებას, მთელი ფიზკულტურული მოძრაობის თვისობრივად მაღალ საფეხურზე აყვანას.

ეს დადგენილება უნდა გახდეს ქვაკუთხედი მთელი იმ საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან ჩვენი სპორტული საზოგადოებები, სპორტის სპეციალისტები, მწვრთნელები.

მთავარი და ძირითადი, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ფიზიკური კულტურის მუშაკთა შემდგომ შემოქმედებითს მუშაობას, არის სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა განუყოფელია ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისგან... ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა არა მარტო სპორტული მწვერვალები, არამედ უწინარესად ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა... ფიზიკური კულტურა მოსახლეობის ფართო ფენებისა და განსაკუთრებით ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა შედიოდეს“.

... სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა გუშინწინ თბილისში გამართული რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებმა, სპორტული სკოლების დირექტორებმა, უწყებათა ხელმძღვანელებმა, სხვა სპორტულმა მუშაკებმა.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ**.

ძირითად საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. შუბლაძე**. მან ილაპარაკა რესპუბლიკაში სპორტული მუშაობის გეგმებზე, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის დონის ამაღლებას. და აღნიშნა, რომ აუცილებელია პერიოდულად შემოწმდეს თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ სპორტული ორგანიზაციები ფიზკულტურის მასობრიობისა და მშთ-ს განვითარებისათვის. მან დამსწრეთ აუწყა, რომ ამასთან დაკავშირებით შეიქმნა რესპუბლიკური მთავარი ოპერატიული შტაბი. საქალაქო, რაიონული და საოლქო სპორტკომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეებმა კრიტიკულად უნდა შეაფასონ თავიანთი მუშაობა და გამოასწორონ ის ნაკლოვანებები, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ შეინიშნება. ‚აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რომ ყველამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ფორმალიზმს, — აღნიშნა მომხსენებელმა. ბოლოს მან დამსწრეთ გააცნო რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თანამშრომელთა ფუნქციები.

თათბირ-სემინარზე აგრეთვე გამოვიდნენ: საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ებრალიძე**, სპორტკომიტეტის სამმართველოების უფროსები **გ. ცქიტიშვილი** და **ჟ. მანჯგალაძე**, საქართველოს ძალოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ვ. ხვეტილკო**, „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ი. ბოჭორაძე**.

გუშინ თბილისის ლენინის სახელობის დარბაზში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ქალაქის თასის გათამაშება და ჩემპიონატი ჯგუფურ ვარჯიშში. თასის მფლობელი გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ი. ჟემჩუჟინა** — 46,95 ქულა. ჯგუფურ ვარჯიშში ყველას აჯობა **ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტული სკოლის პირველმა გუნდმა** — 36,875.



(შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება).

პირველი შედეგები

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო ვაჟ ხელბურთელთა XV საერთაშორისო ტურნირმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. ტრადიციული შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა გაზეთის რესპუბლიკური ინფორმაციის განყოფილების გამგე ლ. შენგელაია. ნორჩმა პიონერებმა ხელბურთელებს ცოცხალი ყვავილები მიართვეს.

თბილისის გლდანის რაიონის №39 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის „მინდიას“ სოლისტებმა ზვიად მოდრეკილაძემ და დათო ხაჩირაშვილმა შეასრულეს მოხევური ცეკვა...

ამ დღეს სათამაშოდ პირველნი ბულგარეთისა და ესპანეთის გუნდები გამოვიდნენ. შეხვედრა ძალზე მწვავედ წარიმართა. 33-ე წუთამდე ანგარიში თანაბარი იყო — 12:12 (პირველი ტაიმი ბულგარელებმა მოიგეს ერთი ქულის უპირატესობით — 10:9). შესვენების შემდეგ ესპანელმა ხელბურთელებმა მოუმატეს ტემპს (განსაკუთრებით აქტიურობდა გუნდის მთავარი დისპეტჩერი ლოპესი) და გაიმარჯვეს — 21:18.

შემდეგ საასპარეზოდ გამოვიდნენ უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდები. უნგრელებმა რამდენიმე ლამაზი კომბინაცია განახორციელეს — 8:4, მაგრამ 22-ე წუთზე მეტოქემ გაათანაბრა ანგარიში — 8:8. ტაიმი უნგრელებმა მაინც მოიგეს 3-ქულიანი სხვაობით — 15:12. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა — 16:12, 19:13 და ტაიმის შუაში — 21:13. საბოლოოდ უნგრეთის გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 27:24.

პირველი დღის დასასრულს სარბიელი დაეთმო სსრ კავშირისა და საქართველოს გუნდებს. ასპარეზობა საკმაოდ საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში ანგარიში 7-ჯერ იყო საყაიმო და ძალთა წონასწორობა შესვენებამდეც შენარჩუნებულ იქნა — 13:13.

მეორე ტაიმში ბრძოლა კვლავ თანაბრად მიმდინარეობდა — 16:16, 18:18... მე-11 წუთზე ქვეყნის მთავარი გუნდი წინ გავიდა და მეთოდურად ზრდიდა უპირატესობას — 21:18, 22:19, 25:20. შესანიშნავად თამაშობდნენ ბელოვი და დოლიძე, რომლებმაც ზუსტი სროლების თავისებური „დუელი“ გამართეს. ფინალური სასტვენისათვის ელექტროტაბლოზე ეწერა ციფრები 30:22 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

ამ შეხვედრაში საუკეთესონი სწორედ ბელოვი და დოლიძე იყვნენ, რომლებმაც თავიანთ გუნდებს შესაბამისად 8 და 6 ბურთი შესძინეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გუნდის კარში (ამ დღეს მას შენაცვლებით იცავდნენ მეკარეები ამირეჯიბი, კომახიძე და ბარამიძე) 5 ბურთი გაიტანა ქვეყნის ნაკრების წევრმა, თბილისელმა ანპილოგოვმა.

შეჯიბრების მეორე დღეს, კვირას, ერთმანეთს ხვდებიან ესპანეთი — უნგრეთი, სსრ კავშირი — ბულგარეთი და საქართველო — იუგოსლავია.

მატჩის შემდეგ ჩვენ შევხვდით ბულგარელთა უფროს მწვრთნელს, სპორტის ოსტატ **ვესელინ პენჩევს**. აი რა გვითხრა მან:

— ჩვენი გუნდი თბილისის ტურნირში მესამედ მონაწილეობს — 1968 წელს VI ადგილზე ვიყავით, 1971 წელს — V ადგილზე. თუ ასე განვაგრძეთ, ახლა ალბათ მეოთხეზე გადმოვინაცვლებთ. უნდა ითქვას, რომ ეს შეჯიბრება ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და ხელბურთელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თქვენს ქალაქში მე ორჯერ ჩამოვედი როგორც მოთამაშე (ნაკრების მარცხენა გარემარბი), ახლა კი მწვრთნელი ვარ. ქართველ ხელბურთელებს რამდენიმეჯერ შევხვედრივარ. პირველად ეს იყო 1967 წელს, სოფიაში ჩვენი და საბჭოთა ნაკრებების ამხანაგური მატჩის დროს. სტუმართა გუნდში მაშინ თბილისელები ცერცვაძე და ფხაკაძე გამოდიოდნენ. ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია: ყველაზე უფროსი — მეკარე ლიუბენ პიცოვი 25 წლისაა, ყველაზე ახალგაზრდა კირილ ბაროვსკი — 19 წლის. კოლექტივში არიან როგორც სტუდენტები სოფიის ფიზკულტურის ინსტიტუტიდან, ისე ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამეს“ კლუბის წევრები. მოთამაშეთაგან გამოვყოფ გუნდის კაპიტანს ხრისტოფორ მიტევს, ნასკო აპოსტოლოვს (№5), ბომბარდირს მარინ მიჩევს (№2). ჩვენი ამოცანაა შევათამაშოთ გუნდი, საბრძოლო ფორმაში შევიყვანოთ იგი. თებერვლის დასაწყისში ხომ მსოფლიოს პირველობაში ვმონაწილეობთ „ც“ ჯგუფში, ეს შეჯიბრება ბელგიაში გაიმართება. გვინდა კარგი თამაში ვაჩვენოთ თბილისელ მაყურებლებს, რომლებიც საკმაოდ კომპეტენტურად, სამხრეთული ტემპერამენტით გულშემატკივრობენ ხელბურთს. გული გვწყდება, რომ სტარტი წარუმატებლად ავიღეთ. მაგრამ წინ კიდევ 4 შეხვედრა გვაქვს...

ო. ნოზაძე.

* * *

სურათზე: თამაშობენ ბულგარეთისა და ესპანეთის (მუქ მაისურებში) გუნდები.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

პანორამა

● წყალბურთი

როგორც ვიუწყებოდით, კიევში გამართულ წყალბურთელთა საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩების შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლის უფლება მოიპოვეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბისა და ალმაათის დინამოელებმა.

ასეთივე შეჯიბრება გაიმართა ბაქოში, სადაც კასპიის წითელდროშოვანი სამხედრო ფლოტილიის გუნდმა დაამარცხა ლვოვის დინამოელები — 11:10, მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები — 8:6 და ფინალის საგზური მოიპოვა.

ფინალის მეორე საგზური წილად ხვდათ მოსკოვის დინამოელებს, რომლებმაც დაამარცხეს ლვოველი თანაკლუბელები — 12:6 და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი — 9:8.

● ჩოგბურთი

მელბურნში დაიწყო ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. შესანიშნავად გამოდის 16 წლის ჰ. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 1962 წლის უიმბლდონის ტურნირის ფინალისტის ვ. სუკოვას ქალიშვილი, რომელიც წარმატებით აგრძელებს საოჯახო ტრადიციას. ჰელენამ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა გამოცდილ მეტოქეებთან და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მისი წინსვლა ამ შეჯიბრებაში მისმა თანამემამულემ ჰ. მანდლიკოვამ შეაჩერა, რომელსაც იგივე ვ. სუკოვა ავარჯიშებს — 6:2, 6:1.

● ხელბურთი

გუშინ სტარტი აიღო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების 21-ე საკავშირო ჩემპიონატმა. ასპარეზობა 6 ტურად გაიმართება და მომავალი წლის 27 ივნისს დამთავრდება. პირველ ეტაპზე 12 გუნდი ორ ქვეჯგუფადაა დაყოფილი.

ნაკრების წევრებისთვის ქვეყნის ჩემპიონატი გენერალური რეპეტიცია იქნება სეზონის მთავარი გამოცდის — მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც გაისად 1-14 დეკემბერს უნგრეთში გაიმართება. მზადების პროცესში სსრ კავშირის ნაკრებს დაგეგმილი აქვს მონაწილეობა მიიღოს გდრ-ში (მარტი), გფრ-ში (აპრილი), ჰოლანდიაში (ნოემბერი) ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში — შეხვდეს კანადის, აშშ-ისა და იაპონიის გუნდებს. (საკდესი).

ლისაბონში დაიწყო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში. საბჭოთა ნაკრებმა პირველ შეხვედრაში წარმატებას მიაღწია ჰოლანდიის გუნდთან — 22:21. ამ ქვეჯგუფში გამოდიან აგრეთვე ისლანდიისა და პორტუგალიის კოლექტივები. მსოფლიო ჩემპიონატში სულ 16 ქვეყნის ნაკრები კოლექტივები მონაწილეობენ.

● თხილამურები

როგორც ცნობილია, მომავალი წლის 18-28 თებერვალს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს მახლობლად, ჰოლმენკოლენში გაიმართება მოთხილამურეთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის სურვილი გამოთქვეს და საორგანიზაციო კომიტეტს განაცხადები უკვე გაუგზავნეს 26 ქვეყნის წარმომადგენლებმა (დაახლოებით 400 სპორტსმენი). ჩემპიონატის პროგრამაშია სათხილამურო რბოლები, ორჭიდი და თხილამურებით ხტომა. საინტერესოა, რომ უკვე სადღეისოდ ჩემპიონატზე აკრედიტებულია 17 ქვეყნის 1100 ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური კულტურა და სპორტი — ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში!

●

ოჯახებით!

რუსთავის ქიმიური ქარხნის სპორტულ კომპლექსში (დირექტორი ე. გოგინაშვილი) შექმნილ ცურვის 14 გამაჯანსაღებელ ჯგუფში 320 კაცი მეცადინეობს. ვის არ შეხვდებით აქ — მუშებს, ინჟინრებს, პედაგოგებს, ექიმებს, მოსწავლეებს, პენსიონერებს და ბავშვთა ბაგა-ბაღის აღსაზრდელებსაც კი. ისინი ს. ჩერნიშევისა და ლ. გაგანსკაიას მეთვალყურეობით სწავლობენ ცურვას, იკაჟებენ სხეულს.

აქ დადიან მთელი ოჯახები. ქიმიური ქარხნის მედსანნაწილის ექიმ კონსტანტინე შიუკოვის ოჯახის ყველა წევრი — მეუღლე, ექიმი გალინა, შვილები. ალექსანდრე, ოლეგი და ალიოშა. შვილიშვილებს არც 60 წლის ბებია ანა ჩამორჩება. — ამავე დაწესებულების ექიმები ალექსანდრე და ნატაშა ვეტერენიკოვები შვილებთან ერთად უკვე კარგად მოცურავეებად თვლიან თავს!

კომპლექსის სტუმრები არიან ქიმიური ქარხნის მუშა დ. იამალაშვილი, ინჟინერი რ. შოშიაშვილი, 61 წლის მ. კომლაძე, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ინჟინრები პ. ჩინჩალაძე, ლ. სიხარულიძე, პედაგოგები ს. კოსტინა, ლ. ხარახაშევა, მოსწავლე ხ. შათირიშვილი და სხვები.

* * *

სურათზე: გამაჯანსაღებელი წრის ერთი ჯგუფი.

რ. გაბრიჭიძის ტექსტი და ფოტო.

როგორც სპორტის ბევრ სხვა სახეობას, ძალოსნობასაც საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს ჩვენს რესპუბლიკაში. საინტერესოა, რომ საქართველოს სპორტის ისტორიაში პირველი მსოფლიო რეკორდი სწორედ ძალოსანმა დაამყარა. ეს მოხდა 1915 წელს, როცა სტუდენტმა სპორტსმენმა გ. ჩიკვაიძემ ცალი ხელით აკვრაში სარეკორდო წონა დაძლია. მას შემდეგ საქართველოში მრავალი საქვეყნოდ ცნობილი ძალოსანი აღიზარდა, რომლებიც მსოფლიო რეკორდებსაც ამყარებდნენ და ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრებებშიც იმარჯვებდნენ — რ. ჩიმიშკიანი, ვ. სვეტილკო, მ. ულენტი, მ. კასიანიკი, ა. ჯეჯელავა, დ. შანიძე, რ. ტარკილი, ე. დვალი...

სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში ჩვენი ძალოსნები, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, რამდენადმე მნიშვნელოვანი გამარჯვებებით ვერ გვახარებენ. ცხადია, რომ სპორტის ამ სახეობის მესვეურებს მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისთვის არაერთი პრობლემის გადაჭრა, დიდი და სერიოზული მუშაობის ჩატარება მოუწევთ. ზემოთქმული რეზერვის მომზადებასაც ეხება. როგორია ჩვენი ძალოსნობის პერსპექტივა, რა უშლის ხელს ნიჭიერ ძალოსანთა გამოვლენასა და სრულფასოვანი ცვლის აღზრდას, რა საჭირბოროტო საკითხები უნდა გადაიჭრას საამისოდ, როგორ ემზადებიან ჩვენი ძალოსნები III საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის? ამ საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ძალოსნობაში რამაზ ბურბენიძე.

თავს როგორ გრძნობთ, ძალოსნებო?

სპორტული ოსტატობის ოთხი განზომილება

— გულახდილად უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენი ძალოსნობა საკმაოდ ჩამორჩება საკავშირო დონეს. ამაზე მეტყველებს ბოლოდროინდელი მონაცემები, საკავშირო სარბიელზე ნაჩვენები შედეგები. თუ სსრ კავშირის ხალხთა წინა სპარტაკიადებზე საქართველოს ძალოსნები VI-VII ადგილებს იკავებდნენ, ბოლო სპარტაკიადაზე ათეულს მიღმა აღმოვჩნდით. ეს, ფაქტია და მას ვერსად გაექცევი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მხარდაჭერითა და დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა ძალოსნობის განვითარებაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არაა და მომავალში მუშაობის უფრო ფართოდ გაშლის აუცილებლობაზე გვიკარნახებს.

რადგან საშუალება მომეცა, მინდა მკითხველს ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება გავუზიარო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასობრიობა პირდაპირ კავშირშია ოსტატობასთან. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში, ალბათ, ძალოსნობაა — დღესდღეობით სისტემატურ ვარჯიშში 80-მდე ძალოსანი თუ იქნება ჩაბმული. შეიძლება სტატისტიკა სხვას გვეუბნებოდეს, მაგრამ, ცხადია, რომ ციფრები ხშირად ვერ ასახავენ საქმის რეალურ ვითარებას. ზემოხსენებული კონტინგენტიდან კომპლექტდება რესპუბლიკის ახალგაზრდული და მოზრდილთა ნაკრები გუნდები. დამეთანხმებით, ეს ძალზე დაბალი მაჩვენებელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საერთო რაოდენობიდან მხოლოდ რამდენიმე ათეული სპორტსმენი ასრულებს ოსტატობის კანდიდატისა და სპორტის ოსტატის ნორმატივებს, ნათელი გახდება, როგორ გვიძნელდება ხოლმე სრულფასოვანი გუნდის დაკომპლექტება. ისეთი გუნდისა, რომელსაც საკავშირო სარბიელზე მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა შეეძლება.

საქართველოს საუკეთესო ძალოსანთა უმრავლესობა, ფაქტიურად, უმაღლესი დაოსტატების № 2 რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლაშია თავმოყრილი. ძალოსნობის სექციები გახსნილია ქუთაისში, აფხაზეთში, აჭარაში, ჭიათურაში, საჩხერეში, ზუგდიდში და კიდევ რამდენიმე ქალაქსა და რაიონში, მაგრამ ვარჯიშისთვის თითქმის ყველგან ძალზე ცუდი პირობები აქვთ. რესპუბლიკის ნაკრებს აგერ უკვე მერამდენე წელიწადია შევსება არ მიუღია ქუთაისიდან. იქ ახლახანს გაიხსნა სპეციალური დარბაზი და, ვფიქრობთ, გამოცდილი მწვრთნელი პავლე კოსტავა ნაყოფიერ მუშაობას გაშლის. აფხაზეთიდან ტარკილის შემდეგ საქართველოს ნაკრებში ვერავინ მოხვდა, აჭარაში კი დიდი ხანია ძალოსნობის განვითარებისთვის თითქმის არაფერი კეთდება. კარგი ტრადიციები აქვთ საჩხერეში, მაგრამ ძალოსნობის ცნობილმა ოსტატმა ელგუჯა დვალმა, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით მწვრთნელობას თავი დაანება, ახალგაზრდა სპეციალისტებს კი ჯერ კიდევ აკლიათ კვალიფიკაცია, პროფესიული მომზადების დონე. იგივე ითქმის ჭიათურაში მომუშავე მწვრთნელებზეც. არადა, ამ ქალაქში ძალოსნობა ძალიან პოპულარულია. რესპუბლიკურ შეჯიბრებებს ხშირად ვატარებთ ჭიათურაში და დარბაზი ყოველთვის სავსეა მაყურებლებით, ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკებიც მხარში გვიდგანან ხოლმე.

ამ 5-6 წლის წინ ენთუზიასტი მწვრთნელის ჯუმბერ მამფორიას მონდომებული მუშაობით ზუგდიდში რამდენიმე ნიჭიერი ძალოსანი აღიზარდა, მაგრამ იქაურებს წვრთნის ელემენტარული პირობები არა აქვთ. ეს სპორტულ შედეგებსაც დაეტყო. თუმცა, პერიფერიებში კი არა, თბილისშიც ბევრი რამაა მოსაგვარებელი. გვაკლია თანამედროვე ინვენტარი, ალჭურვილობა, დამხმარე იარაღები. სავალალო ფაქტია, რომ დარბაზი, სადაც რესპუბლიკის ნაკრები ვარჯიშობს, ზამთარში ნორმალურად არ თბება, ზაფხულში კი ისეთი ბუღი დგას, სუნთქვა ჭირს. საკმარისი რაოდენობით არა გვაქვს ფიცარნაგები, რის გამოც ძნელდება სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ეფექტურად წარმართვა, დატვირთვის მოცულობისა და ინტენსიობის რეგულირება. სხვა რესპუბლიკებში წვრთნის პროცესში ფართოდ იყენებენ კინოაპარატებს, ვიდეომაგნიტოფონს. ჩვენთან ეს საქმე დღემდე ვერ მოგვარდა. განვიცდით, აგრეთვე, სარეაბილიტაციო მედიკო-ბიოლოგიური საშუალებების დიდ ნაკლებობას, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე პირობებში. სპორტსმენი, რომელიც დღეში საშუალოდ 20-30 ტონა სიმძიმეს ეწევა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ენერგიის აღმდგენი საშუალებებით, კვებისა და დასვენების ნორმალური პირობებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძალოსნობაში დღითიდღე იზრდება შედეგები, თითქმის ყველა დიდ შეჯიბრებაზე ახალი რეკორდების მოწმენი ვხდებით. ამ ტემპს რომ მისდიო, ყველა აუცილებელი პირობა უნდა გაგაჩნდეს. ჩვენ, მაგალითად, რესპუბლიკის ფარგლებში გასვლითი სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ნორმალურად ჩატარების საშუალება არა გვაქვს, ამიტომ იძულებული ვართ სხვა რესპუბლიკების ბაზებზე ვივარჯიშოთ, ეს კი ბევრ წინააღმდეგობასთანაა დაკავშირებული.

ზემოთ მასობრიობაზე ვსაუბრობდით. ძალოსნობის განვითარებისთვის ძირითადად მხოლოდ „კოლმეურნე“ და „განთიადი“ ზრუნავენ. ძალოსნობა ჩვენში მასობრივად რომ ვერ დაინერგა, ამას, ალბათ, თვით ამ სახეობის სპეციფიკაც განაპირობებს. ამ დიდ დატვირთვებს, რაც მაღალი შედეგების მოპოვებისთვისაა აუცილებელი, ყველა ვერ უძლებს.. ამ მიზეზით არაერთმა პერსპექტიულმა სპორტსმენმა დატოვა ძალოსნობა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ მშობელს არასწორი წარმოდგენა აქვს ძალოსნობაზე და როცა არჩევანის წინაშე დგება, ამჯობინებს შვილი სპორტის სხვა სახეობის სექციაში მიიყვანოს. რა თქმა უნდა, ჩვენც, მწვრთნელებიც, ვცოდავთ. ეტყობა, მწვრთნელთა კოლექტივის პროფესიული მომზადების დონე საკმარისი არ არის. ხშირად იძულებული ვართ ნაკრებში ავიყვანოთ ისეთი ძალოსანი, რომელსაც ფიზიკური მონაცემები კარგი აქვს, მაგრამ სრულყოფილად ვერ ფლობს ტექნიკას. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ერთობ ძნელია ასეთი სპორტსმენი არასწორ მოძრაობას გადააჩვიო და სწორ გზაზე დააყენო.

აუცილებლად მიმაჩნია ძალოსნობაში დასაქმებულ მწვრთნელთათვის წელიწადში ერთხელ მაინც მოეწყოს სემინარი. ეს ღონისძიება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს და მთელი კოლექტივის შეკავშირებასაც.

ბოლოს მინდა ახალგაზრდულ ნაკრებზე შევჩერდე. ჩვენი გუნდი საკმაო ხანია III საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის ემზადება. წინა ამგვარ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრებმა V ადგილი დაიკავა და დიდი მუშაობის ჩატარება მოგვიწევს, პოზიცია რომ შევინარჩუნოთ. ახლა ნაკრების კანდიდატები (17 კაცი) ბაკურიანში გადიან საწვრთნელ შეკრებას, სადაც ძირითადი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას ეთმობა. ბოლო პერიოდში სტაბილურად ასპარეზობს ალექსანდრე ბედოევი (100 კგ). მან უკვე ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება ახალგაზრდებს შორის, თან საკავშირო რეკორდიც დაამყარა — აკვრაში 221,5 კგ აჩვენა. სხვათა შორის, ეს შედეგი საქართველოს აბსოლუტური რეკორდიცაა. ბედოევს ატაცშიც კარგი შედეგები აქვს და ახალგაზრდულ თამაშებზე უთუოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. კარგი მონაცემები აქვთ, აგრეთვე, სპორტის ოსტატებს რობერტ ძიმისტარაშვილს (110), მურთაზ მუსერიძესა (100) და სერგეი კონდაქჩიანს (56). პერსპექტიული სპორტსმენია 16 წლის კახა მისერელი (100 კგ). ამ ძალოსნებსა და მათს თანატოლებს მოუწევთ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე გამოსვლაც. ამდენად, მათი შემდგომი დაოსტატებისთვის ზრუნვა ჩვენი საერთო ინტერესებიდან გამომდინარეობს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მხარში გვიდგას რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა, უმაღლესი დაოსტატების № 2 რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექცია, აგრეთვე, საქართველოს მოზრდილთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა წერეთელი. ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობები და სრულფასოვანი გუნდით წარვსდგეთ III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე.

გ. ელგუჯაური,
ა. ცეხანელი.

სპარტაკელ მოჭიდავეთა წარმატება

ნიკოპოლში 4 დღეს მიმდინარეობდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ეს ტურნირი იმდენად წარმომადგენლობითი იყო, რომ საპრიზო ადგილებზე გასული ათლეტები სპორტის ოსტატის ნორმატივს ასრულებდნენ.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ი. ბახტაძემ (62 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა: ფინალამდე მან 5 მეტოქე დაამარცხა და მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლა წააგო მახაჩყალელ ა. მაჰომედოვთან. ბახტაძე სპორტის ოსტატი გახდა. ტურნირის მესამე პრიზიორია სპორტის ოსტატი ვ. სალთხუციშვილი (52 კგ).

ვ. ჯეირანაშვილი.

* * *

ბაქოში გაიმართა 1965-66 და 1967-68 წლებში დაბადებულთა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც აზერბაიჯანის „სპარტაკის“ იუბილეს მიეძღვნა. შეჯიბრებაში 9 კოლექტივის 120 სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს „სპარტაკის“ საბჭომ იქ თავისი 15 წარმომადგენელი გაგზავნა. უფროს ასაკში მათ 5 საპრიზო ადგილი მოიპოვეს. I ადგილები დაიკავეს გ. დოლიძემ (60 კგ) და ვ. ყალაყაშვილმა (75 კგ), II ადგილებზე გავიდნენ გ. ბახტაძე (42), ა. კეკელიძე (70) და ვ. ქველაძე (81). მესამე ადგილები წილად ხვდათ გ. ტაბატაძეს (75) და გ. ვარდიაშვილს (81).

უმცროს ასაკში უძლიერესები იყვნენ: პ. ჯანიაშვილი (50), ზ. ტატანაშვილი (56) და ა. წამალაშვილი. ტურნირის მეორე პრიზიორები გახდნენ გ. გულიაშვილი (65), გ. ვარდიაშვილი (81) და ა. მახარაშვილი (87).

ი. ბახტაძე.

14 დაფაზე

სსრ კავშირის ქალთა 41-ე ჩემპიონატის პრიზიორმა, მოჭადრაკე თამარ ხუგაშვილმა სოფელ იყალთოში გამართულ სახალხო დღესასწაულ „შოთაობაზე“ ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 14 დაფაზე. მოიგო ცხრა პარტია, წააგო ადგილობრივი რადიოს გადაცემათა რედაქტორ ნ. იარალოვთან, აგრეთვე ვ. სავინცევთან, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები რაიონის საქსოფლტექნიკის მმართველ ლ. საჩიშვილთან, სამშენებლო ტექნიკუმის პედაგოგ ზ. როსტომაშვილთან და ქალაქის მრავალგზის ჩემპიონ ე. ყარალაშვილთან.

გ. ელიოზიშვილი.
(„ლელოს“ კორ.)

მეორე სიყვარულმა სძლია

შოთა ქორქაშვილს 60 წელი შეუსრულდა

არის მატჩები, რომელთა დრამატიზმით აღსავსე მომენტები ისე სრულად და ნათლად შემორჩება მეხსიერებას, რომ მას ჟამთა სვლა ვერაფერს აკლებს. ამას დაგვიმოწმებენ ის გულშემატკივრები, რომელთა თვალწინაც გათამაშებულა დაუვიწყარი ეპიზოდები. უფრო მეტიც; იმავე დრამატულ მომენტს ისინიც დაგისურათხატებენ, შეხვედრას რომ არ დასწრებიან და მხოლოდ სხვებისგან გაუგიათ, რომ მ. მესხმა თბილისის „ლოკომოტივის“ (მაშინდელი „ბურევესტნიკის“) სტადიონის სამხრეთი კარის მისადგომებთან, შეხვედრის ამა და ამ წუთზე თავისი „საფირმო ფინტით“ ძირს დასცა ბრაზილიის „ბაიას“ მცველი სანტოსი. ძველი თბილისელი გულშემატკივრების მეხსიერებას უფრო „პიკანტური“ ამბებიც შემორჩენია. ან როგორ შეიძლება დაავიწყდეთ თბილისის დინამოელ კალათბურთელთა მიერ 1949 წელს შემოდგომაზე მოპოვებული გამარჯვება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ ტარტუს უნივერსიტეტის გუნდთან სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების ნახევარფინალში. ამ ორთაბრძოლის სენსაციური ფინალი ყველას, ვინც იმ დღეს კიროვის სახელობის პარკში გამართულ ამ თამაშს ესწრებოდა, დღესაც თვალწინ უდგას. თბილისელმა კალათბურთელებმა, რომელთა ძირითად ბირთვს ყოფილი ქუთაისის დინამოელები შეადგენდნენ, წინა ორი სეზონი პრიზიორებად დაამთავრეს, იმჯერად კი ხარკოვში გამართული საკავშირო ჩემპიონატიდან ხელმოცარულნი დაბრუნდნენ და მხოლოდ V ადგილზე იყვნენ. და აი, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე მათ მიეცათ რეაბილიტაციის საშუალება.

შესაძლებლობა, კარგი შანსი — ეს მხოლოდ სათქმელადაა ადვილი, მაგრამ როცა საქმე გვაქვს კალათბურთის ისეთ „გრანდებთან“, როგორებიც იყვნენ ლისოვი, კულამი, კრეევალდი, კრუუსი და სხვები, რომელთაც, როგორც თითქმის ყველა ბალტიისპირელს, პირდაპირ სისხლში და ხორცში აქვთ გამჯდარი ეს თამაში, ძნელზე ძნელი საქმეა. ესტონელი კალათბურთელები მაშინ ძალიან ძლიერად თამაშობდნენ, იმ წელს კი ბრწყინვალედ განვლეს საკავშირო ჩემპიონატის ბრძოლები და ჩემპიონთა ოქროს მედლებით ეწვივნენ თბილისს, სადაც ახლა მეორე არანაკლებ საპატიო პრიზზე აცხადებდნენ პრეტენზიას. მათ აქ ბრწყინვალედ ჩაატარეს მეოთხედფინალური მატჩი და ახლა მასპინძელთა პირისპირ დადგნენ ნახევარფინალში.

დინამოელთა ფიცხ და მოულოდნელ კომბინაციურ ბრძოლას ლისოვის გუნდმა, რომლის სული და გულიც თვითონ კაპიტანი გახლდათ, აკადემიური და გააზრებული თამაში დაუპირისპირა, რაც უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ მეტოქის შემოთავაზებული მაღალი ტემპი დაეგდოთ. სტუმრები თანდათანობით, მეთოდურად მიიწევდნენ ამ მიზნისკენ და თამაშის მიწურულს, როცა საფინალო სასტვენს მხოლოდ 10 (!) წამიღა აკლდა, სტუმრები წინ იყვნენ — 24:23. ახლა კალათბურთის მოყვარულთ იქნებ ღიმილიც კი მოგვაროს ასეთმა მცირე ანგარიშმა, მაგრამ იმხანად ძალაში არ იყო ბურთის ფლობის „30-წამიანი“ წესი, დებულების ეს პუნქტი „წყალს ასხამდა“ სტუმრების წისქვილზე. ისინიც ბურთს გაუთავებლად „ატარებდნენ“, დრო გაჰყავდათ და ინარჩუნებდნენ ანგარიშში უპირატესობას.

მაგრამ ამ მომენტში ესტონელი სპორტსმენები საკუთარ ფარქვეშ დაჯარიმდნენ და დინამოელებმა ისეთი საპასუხისმგებლო მისია, რომელიც ნერვებისა და, საერთოდ, სპორტსმენის მთელი ძალის სიმტკიცეს მოითხოვს, თავიანთ მეექვსე ნომერს — შ. ქორქაშვილს მიანდვეს.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, ვიდრე შოთა ბურთს ხელში აიღებდა და კალათში სასროლად მოემზადებოდა. — ჩააგდებს თუ ვერა! — აი, რა აბობოქრებდა სტადიონს. მოედანზე კი უსიტყვო ორთაბრძოლა — შოთასა და ცივი რკინის რკალს შორის კარგა ხნის დაწყებული იყო...

აი, მსაჯებმა ორი ხელი მაღლა ამართეს იმის ნიშნად, რომ სპორტსმენს ორი სროლის უფლება მიეცა. მთელი სარბიელი გაირინდა. ყველას თვალწინ „მსხვილი პლანით“ წამოიზარდა ქორქაშვილი და კალათი. რეფერიმ ჩაბერა და „ტკაპ“ — მთელ სტადიონს მისწვდა ეს მოწყვეტილი ხმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბურთი ზუსტად, არაფერს რომ არ შეხებია, ისე მოთავსდა კალათში. ამას მოჰყვა მეორე ზუსტი სროლა, რაც უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. კარგად მახსოვს ტარტუელთა წამიერი დაბნეულობა, მაგრამ ყველაზე ადრე „ბებერი მელა“ — ლისოვი მოეგო გონს და საკუთარი ფარიდან ბურთი პირდაპირ მეტოქის კალათისაკენ გაგზავნა, რასაც ჰაერში მოუსწრო მსაჯის საფინალო სასტვენმა...

იმდენად დიდი იყო ამ გამარჯვების ძალა, რომ ფინალში ბრძოლის ბედი რიგის „დაუგავასთან“ წინასწარ გადაწყდა — ქართველ სპორტსმენებს არ გასჭირვებიათ ფინალის მოგება. დინამოელთა ამ პირველ დიდ გამარჯვებას მოჰყვა 1950 წლის საკავშირო ჩემპიონობის მოპოვება ვილნიუსის სარბიელზე. იქ კიდევ საპატიო გამარჯვებები მასპინძელთა „ჟალგირისის“, ტალინის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების უძლიერეს გუნდებთან. აქ, ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიასთან ერთად მთავარ ბრძოლებში შოთა ქორქაშვილსაც უთქვამს თავისი სიტყვა...

შ. ქორქაშვილმა ბავშვობა და სიყმაწვილე ქუთაისში გაატარა. თავიდან ფეხბურთით იყო გატაცებული, მალე იმ გუნდშიც მიიწვიეს, რომელიც ფეხბურთელების

შესანიშნავმა აღმზრდელმა კარლო ხურციძემ დააარსა. მის მხარდამხარ გუნდში გამოდიოდნენ მ. გერაძე, შ. ვაჩაძე და სხვები, მაგრამ იმ ხანად ქუთაისურთა უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა არანაკლებ საინტერესო და მიმზიდველი თამაში — კალათბურთი. აქ უკვე იყო შესანიშნავი გუნდი — „ნაუკა“, რომლის ღირსებას იცავდნენ: ალეკო და შოთა მესხები, სულიკო თორთლაძე, ბ. ქუთელია, მ. ჩოგოვაძე, გ. სვანაძე და სხვები. აქვე შეიქმნა მეორე გუნდიც — განათლების განყოფილებისა. ჭაბუკი ფეხბურთელები ზამთრობით, როცა საფეხბურთო ამინდი არ იდგა, დარბაზს მიაშურებდნენ ხოლმე და ეს ფეხბურთელი კალათბურთელები იმდენად დაოსტატდნენ, რომ 1939 წელს როსტოვში გამართულ ჩვენი ქვეყნის III ჯგუფის კალათბურთელთა ზონალურ შეჯიბრებაშიც კი გაიმარჯვეს და შემდეგ იქვე საკავშირო პირველობის II ჯგუფის საგზურებიც მოიპოვეს. თუმცა როსტოვის ქუჩებში გამოკრულ აფიშებში ქუთაისელები მოხსენებულნი არ იყვნენ: იქ ეწერა, რომ ასპარეზობაში მონაწილეობენ აზერბაიჯანის, ლენინგრადის, მოსკოვისა და სხვა გუნდები. აი, სწორედ ამ „სხვებმა“ აყარეს „შავი დღე“ მეტოქეებს და გაიმარჯვეს. მათ შორის იყო შ. ქორქაშვილი, რომელმაც შემდეგ კვლავ სცადა ფეხბურთის მინდორზე დაბრუნებულიყო, მაგრამ უთხრეს:

— შენ ჩამოყალიბებული კალათბურთელი ხარ, მიხედე ამ საქმეს.

ასე დაიწყო იმ ჭაბუკის საკალათბურთო კარიერა, რომელმაც სხვა თანაგუნდელებთან ერთად არაერთი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა ქართული კალათბურთის ისტორიაში.

შოთა ქორქაშვილს ამ დღეებში 60 წელი შეუსრულდა. აქედან რამდენიც შეეძლო საყვარელ თამაშს მიუძღვნა. შემდეგ წლებმა თავისი გაიტანა და სარბიელს ჩამოსცილდა, მაგრამ სპორტთან კავშირი მაინც არ შეუწყვეტია. იგი დღიდან გახსნისა თბილისის სპორტის სასახლეშია — ჯერ სასახლის მთავარი ინჟინერი იყო, ახლა კი დირექტორის მოადგილედ მუშაობს. ქართველ გულშემატკივართა და სპორტსმენთა სახელით ამაგდარ სპორტსმენს ვულოცავთ ამ სახელოვან თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

უ. პიპინაძე.

* * *

სურათზე: შ. ქორქაშვილი.

● ფეხბურთი

ტყიბულის „მეშახტე“ — საქართველოს ჩემპიონი

ბათუმი. (ტელეფონით, ჩვენი კორ). გუშინ აქ შედგა დამატებითი მატჩი ფეხბურთში ზუგდიდის „დინამოსა“ და ტყიბულის „მეშახტეს“ შორის. როგორც ცნობილია, ამ ორმა გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა აქ მიმდინარე რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში და დებულების შესაბამისად საჭირო შეიქნა მათ შორის დამატებითი თამაშის გამართვა (ძირითადი ტურნირის შეხვედრა მათს შორის დამთავრდა ფრედ — 0:0).

ამ გუნდების გადამწყვეტ მატჩში შესანიშნავად ითამაშა „მეშახტემ“. უკვე მე-15 წუთზე ქარქაშაძის დროული გადაცემით ანგარიში გახსნა ბაბუხადიამ, ხოლო მეორე ტაიმის 58-ე წუთზე იმავე ბაბუხადიამ ზუგდიდელთა კარში მეორე გოლი გაიტანა — 2:0. ამ ანგარიშით დაამარცხა „მეშახტემ“ მეტოქე და რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

ტყიბულის გუნდი ამ დღეს ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგორელიანი, წიქორიძე, სილაგაძე, გზიკაძე, სოფრომაძე, ლაფარაძე (მეტონიძე), სვანაძე, რეხვიაშვილი, ქარქაშაძე (როინიშვილი), ხუცურაული, ბაბუხადია.

თუ „მეშახტემ“ (მწვრთნელები საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯ. ჯალაღანია, და მწვრთნელი ბ. თოდიძე) საპასუხისმგებლო მატჩი მონდომებით, შემართებით, კორექტულად ჩაატარა, ამას ვერ ვიტყვით ზუგდიდელებზე. მათ იგრძნეს რა მარცხი, აშკარა ხულიგნობას მიმართეს — მეტოქეებს ხშირად აკრძალული ილეთებით უმასპინძლდებოდნენ, რაც დროდადრო ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადადიოდა: 65-ე წუთზე ზუგდიდელმა ო. თუთბერიძემ წიხლი უთავაზა სილაგაძეს. მსაჯმა ნ. ამირეჯიბმა, რომელმაც ამ ძნელ მატჩს შედარებით კარგად გაართვა თავი, ორივე გააძევა მინდვრიდან. 82-ე წუთზე არბიტრს ზუგდიდელ ჩიჩუასა და ტყიბულელ როინიშვილის მიმართაც სასჯელის ამ ზომის გატარება მოუხდა, თუმცა ჩხუბის წამომწყები ჩიჩუა გახლდათ. ზუგდიდელთაგან ხულიგნობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თ. კვარაცხელია, ვ. და ო. თუთბერიძეები, კვარაცხელიამ მატჩის მერეც კი ვერ შეიკავა თავი.

ო. მურვანიძე.

ვ. მარღანიას თასზე

ამ დღეებში თბილისში გაიმართა გამოჩენილი მეკარის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. მარღანიას სახელობის თასის ტრადიციული გათამაშება, სადაც მონაწილეობა მიიღო ქალაქის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების 8 გუნდმა (1965-66 წლებში დაბადებულნი).

საინტერესო გამოდგა ნახევარფინალური შეხვედრები. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა დაამარცხა „ავაზა“ — 2:2, 1:0, ხოლო განათლების სამმართველოს 48-ე საშუალო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა „ლოკომოტივთან“ — 5:0, 0:2.

ფინალური მატჩი საუკეთესოდ ითამაშეს განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლის ფეხბურთელებმა (დირექტორი შ. მერკვილაძე, მწვრთნელები — შ. ჭუმბურიძე და რ. ხარბედია), რომლებმაც მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 6:0. ეს გუნდი დაკომპლექტებულია 48-ე საშუალო სკოლის სპეცკლასის მოსწავლეებით (დირექტორი გ. გელაშვილი). II ადგილზეა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი, რომელსაც ამზადებენ გ. ჩარკვიანი და ა. ბოჭორაძე (სკოლის დირექტორი — ვ. ელოშვილი).

აღვნიშნავთ ნიჭიერ, პერსპექტიულ ნორჩ ფეხბურთელებს. ესენია: გ. კეტაშვილი, ს. თორაძე, ა. აბრამიანი, ე. მეტრეველი, გ. ჭინჭარაული, ზ. ანიაშვილი, ო. სირაძე (48-ე საშუალო სკოლა), მ. ნუცუბიძე, გ. კვირიკაძე, გ. გეგუჩაძე (ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა), დ. ცალუღელაშვილი, გ. დადვანი. ზ. ჯამაგიძე („ავაზა“) და სხვანი.

თ. ლაცაბიძე,
გათამაშების მთავარი მსაჯი.

* * *

სურათზე: ვ. მარღანიას სახელობის თასზე გამარჯვებული 48-ე საშუალო სკოლის გუნდი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

● ფიგურული სრიალი

ყველაზე წარმომადგენლობითი

თავის 16-წლიან ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება ფიგურული სრიალის ოსტატთა წლევანდელი საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე. ასპარეზობა მოსკოვში ლუჟნიკის სპორტის სასახლეში 9-13 დეკემბერს გაიმართება. ყინულის მოედანზე გამოვლენ კანადის, ინგლისის, იაპონიის, გდრ-ის, გფრ-ის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიისა და სხვა 17 ქვეყნის წარმომადგენლები. — ეს ითქვა რედაქციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, სადაც ჟურნალისტები გაეცნენ იმ ჯილდოებსაც, რომლებისთვისაც პროგრამის ცალკეულ სახეობებში იასპარეზებენ სტუმარ-მასპინძელნი. ეს მოხდენილი ბროლის ცაგურები ცნობილი დიატკოვის ქარხნის ოსტატებმა დაამზადეს.

ამ შეჯიბრებაში ჩაებმება საბჭოთა კავშირის ნიჭიერი ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი, უძლიერესი ფიგურისტები. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები წყვილთა სრიალში — ი. ვორობიოვა და ი. ლისოვსკი (ვორობიოვას ტრავმის გამო).

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი იქნება პირველი საკონტროლო შეჯიბრება მათთვის, ვინც საკავშირო ნაკრებში ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვის. ნაკრებს კი წლეულს ლიონსა (2-7 თებერვალი) და კოპენჰაგენში (9-14 მარტი) ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები ელის. ქვეყნის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა გამოცხადდება საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ. ეს შეჯიბრება 6-10 იანვარს რიგაში ჩატარდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს მაყურებლები ნახავენ ცნობილი ოსტატების — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩამპიონატების ოქროს მედალოსნების ნ. ლინიჩუკისა და გ. კარპონოსოვის გამოსვლას.

* * *

სურათზე: სარბიელზეა საბჭოთა წყვილი ნ. ბესტემიანოვა და ნ. ბუკინი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

დააჯარიმეს...

ფეხბურთის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ წლეულს ესპანეთში გამართულ მინი-ტურნირში თბილისის „დინამოსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის წესი დაარღვიეს დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრებმა ბრაიტნერმა და რუმენიგემ. ისინი გააძევეს მინდვრიდან, შემდეგ კი მათი მეთაურობით მინდორი დატოვა მთელმა გუნდმაც.

ეს საკითხი განიხილა უეფა-ს დისციპლინარულმა კომისიამ. ბრაიტნერიც და რუმენიგეც დაისაჯნენ: თითოეულმა მათგანმა უნდა გადაიხადოს 5.000 დასავლეთგერმანული მარკა.

ირლანდიელთა სიახლე

ირლანდიის ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ერთობ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო: ყოველ გასვლით მატჩში მოგება გუნდს 4 ქულას აძლევს, საკუთარ მინდორზე გამარჯვება 3 ქულად ფასდება, სტუმრად ფრედ დამთავრებული მატჩი ქულას იძლევა, ხოლო შინ — ერთს.

„კატასტროფის წინაშე“

იტალიურმა პრესამ ამგვარი სათაურებით გამოაქვეყნა მასალები ევროპულ საფეხბურთო ტურნირებში იტალიის კლუბების მონაწილეობის შესახებ. „ყველაფერში დამნაშავეა უნიათო, თავდაცვითი ფეხბურთი. იტალიური კლუბები მხოლოდ დაცვაზე ფიქრობენ, ისინი კარგ მცველებს ამჯობინებენ ძლიერ თავდამსხმელებს და ამიტომ დაისაჯნენ კიდეც“. განაცხადა შვედმა მწვრთნელმა ნ. ლიდჰოლმმა, რომელიც იტალიის „რომას“ ხელმძღვანელობს.

● ჭადრაკი

ვაჟთა 49-ე საკავშირო...

გუშინწინ ფრუნზეში მოეწყო უმაღლესი ლიგის ვაჟთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატზე გადადებული პარტიების დამთავრება. მოჭადრაკეთა ამდღევანდელი შეხვედრებიდან ცენტრალური ბრძოლა გაიმართა კრასნოდარელი ვ. ცეშკოვსკისა და ბაქოელი გ. კასპაროვის VI გამოტოვებულ პარტიაში. დავა 25-ე სვლაზე ბაქოელი დიდოსტატის გამარჯვებით დამთავრდა.

ქვეყნის ჩემპიონმა ლ. ფსახისმა (კრასნოიარსკი) დაამარცხა ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), ა. ბელიავსკიმ (ლვოვი) მოუგო გ. იუდასინს (ლენინგრადი), იუდასინმა თავის მხრივ ქულის აღება შეძლო მოსკოველ ს. დოლმატოვთან შეხვედრაში.

ყაიმით დამთავრდა ვ. გავრიკოვ (ვილნიუსი)—ე. სვეშნიკოვის (ჩელიაბინსკი), ა. იუსუპოვ (მოსკოვი)—ი. დორფმანის (ლვოვი), ვ. კუპრეიჩიკ (მინსკი)—გ. ტიმოშჩენკოს (ნოვოსიბირსკი), გ. აგზამოვ (ტაშკენტი) — დოლმატოვისა და გ. კუზმინ (ვოროშილოვგრადი) — აგზამოვის შეხვედრები.

ახლა ჩემპიონატს 2 ლიდერი ჰყავს — კასპაროვსა და ფსახისს 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. რომანიშინს — 3,5 (1), ტიმოშჩენკოსა და კუპრეიჩიკს — 3,5-3,5 თითოეულს.

გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო. დღეს გაიმართება VII ტურის შეხვედრები.

თაროვძეა 1000 წიგნი...

1901 წელს ქართულ გაზეთ „ცნობის ფურცელში" ბულგარული ლიტერატურის პატრიარქი ივანე ვაზოვი წერდა: „საქართველოს ბედი საოცრად ჰგავს ბულგარეთის ბედს!". დაახლოებით იმავე პერიოდში აკაკი წერეთელმა მისწერა თედო სახოკიას შემდეგი სიტყვები: „წავიკითხე შენი თარგმანი მამაცი ბულგარელის წიგნისა (ი. ვაზოვის „უღელქვეშ") ბულგარელთა წამებისა და გმირული ბრძოლის შესახებ, წავიკითხე და სულში ჩამივარდა..."

შეიძლება ისტორიულმა მსგავსებამ განაპირობა ქართველი და ბულგარელი ხალხების ღრმა მეგობრობა, მატერიალური და სულიერი კულტურისადმი მათი ურთიერთდაინტერესება, რომელიც დღითიდღე მტკიცდება და ფართოვდება.

ამიტომ იყო, რომ ქართველმა მკითხველებმა ესოდენ დიდი ინტერესი გამოიჩინეს სლავური დამწერლობის შემქმნელების კირილესა და მეთოდეს სამშობლოს — ბულგარეთის წიგნის გამოფენისადმი, რომელიც გუშინწინ გაიხსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში.

გამოფენაზე 1000-ზე მეტი წიგნია წარმოდგენილი, მათ შორის სპორტული და ტურისტული. დიდ ინტერესს იწვევს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები, ტოდორ ჟივკოვის, ივანე ვაზოვის, მსოფლიოსა და ბულგარეთის კლასიკოსთა ნამუშევრები.

სასიამოვნოა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია ბულგარულ ენაზე გამოცემული ქართული წიგნებიც — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა", იოსებ ნონეშვილის „რჩეული ლექსები", არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი", თამაზ ჭილაძის „თეთრი კვამლი", ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია", აგრეთვე ვასილ პოპოვის გზამკვლევი „მზიური საქართველო" და სხვა. თავის მხრივ ხომ ქართულ ენაზეც თარგმნილია ბულგარელ ავტორთა 30 ნაწარმოებზე მეტი.

ჩვენი ინტერესი მიიქცია ბულგარეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცემულმა გემოვნებით გაფორმებულმა სარეკლამო პროსპექტებმა და ბუკლეტებმა: „ვიტოშამ", „პამპოროვომ", „ბოროვეცმა", „ზლატნი პიასციმ", „ალბენამ" და სხვამ. სამთო და წყლის თხილამურები, კალათბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ცხენოსნობა, იალქნები, ჩვეულებრივი და წყალქვეშა ცურვა — აი ბულგარეთში ყველაზე გავრცელებული სპორტის სახეობები, რომლებიც გვეპატიჟებიან ამ უძველეს, 1300-წლიან და ამავე დროს მარად ახალგაზრდა მიწაწყალზე, ვარდებისა და ოქროს ლაჟვარდოვან ბულგარეთში.

გამოფენა 13 დეკემბრამდე გასტანს. აღსანიშნავია, რომ მასზე წარმოდგენილ წიგნებს ბულგარელი მეგობრები საჩუქრად გადასცემენ ქართველ ხალხს.

ო. ოთარაშვილი.

არჩევანი კობეზე შეჩერდა

სტუდენტთა სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ განიხილა საკითხი უნივერსიადა-85-ის ჩატარების შესახებ. ამ თამაშების მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ იაპონიის ქალაქი კობე, მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი ლოს-ანჯელესი და იუგოსლავიის ქალაქი ზაგრები.

საერთაშორისო ფედერაციამ უპირატესობა კობეს მიაკუთვნა.

ჟურნალისტების აზრით

სპორტული სეზონის მიწურულს, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, მიმომხილველები ტრადიციულად ასახელებენ წლის საუკეთესო სპორტსმენებს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. საინტერესოა, ვის ანიჭებენ უპირატესობას სპეციალისტები?

„ჩესკოსლოვენსკი სპორტი"
(ჩეხოსლოვაკია, პრაღა)

1. სებასტიან კოე (დიდი ბრიტანეთი), 2. ჯონ მაკინროი (აშშ), 3. ბერნარ ჰინაულტი (საფრანგეთი).

1. უტე ჰეენიგერი (გდრ), 2. იარმილა კრატოხვილოვა (ჩეხოსლოვაკია), 3. მარია-ტერეზა ნადიგი (შვეიცარია).

„ბ. ტ." (დანია, კოპენჰაგენი)

1. კოე, 2. ჰინაულტი, 3. შუგარ რეი ლეონარდი (აშშ).

1. კრის ევერტ-ლოიდი (აშშ). 2. ეველინ ეშფორდი (აშშ), 3. მარია-ტერეზა ნადიგი.

„ეკიპი" (საფრანგეთი, პარიზი)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. რენალდო ნეჰემია (აშშ).

1. მარი მეგერი (აშშ), 2. ეშფორდი, 3. ალისონ როე (ახალი ზელანდია).

„დისენი" (ესპანეთი, ბარსელონა)

1. მაკინროი, 2. კოე, 3. სტივ ოვეტი (დიდი ბრიტანეთი).

1. ჰეენიგერი, 2. კრატოხვილოვა, 3. ევერტ-ლოიდი.

„ნიუ სტრაიტს ტაიმსი"
(მალაიზია, კუალა-ლუმპური)

1. კოე, 2. დიეგო მარადონა (არგენტინა), 3. მაკინროი.

1. ტრეჩი გოლკინსი (აშშ), 2. ეშფორდი, 3. სუ ალ ჰვანგი (სამხ. კორეა).

„სკოტსმენი"
(შოტლანდია, ედინბურგი)

1. კოე, 2. ლეონარდი, 3. მაკინროი.

1. ლოიდ ევერტი, 2. ანტუანეტა ტოდოროვა (ბულგარეთი), 3. ეშფორდი.

„შპორტი" (შვეიცარია, ციურიხი)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. ნეჰემია.

1. ნადიგი, 2. დენიზე ბიელმანი (შვეიცარია), 3. ეშფორდი.

„სვენსკა დაგბლადეტი"
(შვეცია, სტოკჰოლმი)

1. ჰინაულტი, 2. მაკინროი, 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია).

1. ეშფორდი, 2. ჰეენიგერი, 3. ლოიდ-ევერტი.

„თერჯუმანი"
(თურქეთი, სტამბოლი)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. ედვინ მოზესი (აშშ).

1. ბიელმანი, 2. ტოდოროვა, 3. ჰევინიგერი.

„სტარს ენდ სტრიპსი"
(აშშ, ვაშინგტონი)

1. მაკინროი, 2. ჰინაულტი, 3. ინგემარ სტენმარკი (შვეცია).

1. ტოდოროვა, 2. ნადიგი, 3. ლოიდ-ევერტი.

„კორიერე დელო სპორტსტადიო"
(იტალია, რომი).

1. მოზესი, 2. კოე, 3. ლეონარდი.

1. კრატოხვილოვა, 2. ეშფორდი, 3. ლოიდ-ევერტი.

„აქციონი" (ტუნისი)

1. კოე, 2. ლეონარდო, 3. ჰენრი რონო (კენია).

1. ეშფორდი, 2. ჰევინიგერი, 3. ლოიდ-ევერტი.

„პშეგლონდ სპორტოვი"
(პოლონეთი, ვარშავა)

1. კოე, 2. იანუშ პეციაკი (პოლონეთი), 3. მაკინროი.

1. ეშფორდი, 2. ჰევინიგერი, 3. კრატოხვილოვა.

„კიკერ-შპორტმეგეზინი"
(გფრ, ნიურნბერგი)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. ლეონარდი.

1. მეგერი, 2. ეშფორდი, 3. ჰევინიგერი.

„ულტიმა ორა"
(პერუ, ლამა)

1. ლეონარდი, 2. კოე, 3. ნელსონ პიკე.

1. ეშფორდი, 2. ჰევინიგერი, 3. კრატოხვილოვა.

„ტაგებლატი" (ლუქსემბურგი, ქ. ეში)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. ოვეტი.

1. ეშფორდი, 2. ნადიგი, 3. რამონა ნოიბერტი (გდრ).

„ლიხტენშტაინერ ფოლკსბლატი"
(ლიხტენშტაინი)

1. მაკინროი, 2. კოე, 3. ოვეტი.

1. ეშფორდი, 2. ბიელმანი, 3. ჰევინიგერი.

„სპორტსკე ნოვოსტი"
(იუგოსლავია, ზაგრები)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. ნეჰემია.

1. ეშფორდი, 2. ჰეენიგერი, 3. ლოიდ-ევერტი.

„ტელეგრაფი"
(ჩრდ. ირლანდია, ბელფასტი)

1. კოე, 2. ჰინაულტი, 3. ბოტჰემი (დიდი ბრიტანეთი).

1. ლოიდ-ევერტი, 2. ჰეენიგერი, 3. ნადიგი.

„ირიშ ინდეპენდენტი"
(ირლანდია, დუბლინი)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. მოზერი.

1. ჰეენიგერი, 2. ლოიდ-ევერტი, 3. კრატოხვილოვა.

„ავროს სპორტპანორამა"
(ჰოლანდია, ქ. ჰილვერსუმი).

1. კოე, 2. მაკინროი, 3. ნეჰემია.

1. ეშფორდი, 2. ჰეენიგერი, 3. ბიელმანი.

„პლაკარი"
(ბრაზილია, სან-პაულუ)

1. კოე, 2. ლეონარდი, 3. მოზერი.

1. ეშფორდი, 2. ჰეენიგერი, 3. როე.

„სპორტსი" (ბელგია, ბრიუსელი)

1. კოე, 2. მაკინროი, 3. ჰინაულტი.

1. ეშფორდი, 2. ლოიდ-ევერტი, 3. ანი ლამბრეხტი (ბელგია).

„სანდი ტელეგრაფი"
(ინგლისი, ლონდონი)

1. კოე, 2. ჰინაულტი, 3. მაკინროი.

1. ლოიდ-ევერტი, 2. ჰეენიგერი, 3. ეშფორდი.

„ჰერალდი" (ავსტრალია, მელბურნი)

1. მაკინროი, 2. კოე, 3. ლეონარდი.

1. კრატოხვილოვა, 2. ლოიდ-ევერტი, 3. ჰეენიგერი.

„ობეროსტერრაიხიშე ნახრიხტენ"
(ავსტრია, ლინცი)

1. კოე, 2. ლეონარდი, 3. მაკინროი.

1. ეშფორდი, 2. ტოდოროვა, 3. მაქსი გნაუკი (გდრ).



ვინდსერფინგი ოლიმპიური პროგრამის ახალი სახეობა იქნება — ასე გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 83-ე სესიაზე, რომელიც ოლიმპიადის დღეებში მოსკოვში გაიმართა. ჯილდოებისთვის იბრძოლებენ ვაჟებიც და ქალებიც.

სადესის ფოტო.

● „სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 49-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 16 (ცხენოსნობა), 20 (აფროსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 39 (მთამსვლელობა).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 2 (ბიატლონი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

როლფ პესტერი

დისკუსია

— **ახლა** კი გთხოვთ, აზრი გამოთქვათ ჩემს მიერ წამოყენებულ პრობლემებზე. — მიმართა დირექტორმა კოლეგებს. — საკითხი ძალიან სერიოზულია, ამიტომ გთხოვთ, ყველამ მიიღოთ მონაწილეობა. აბა, ვინ დაიწყებს?

დირექტორმა თვალი გადაავლო თანამშრომლებს, მაგრამ ზოგი მაგიდას მისჩერებოდა, ზოგი საკუთარ თითებს, ზოგი რაღაცას ხატავდა, ზოგიც ასანთის კოლოფს ათამაშებდა.

— გთხოვთ, გთხოვთ. ნუთუ აზრის გამოთქმა არავის სურს? აი, თქვენ დაიწყეთ, კოლეგა ბრაიშტუგ!

ბრაიშტუგმა გაურკვევლად გააქნია თავი და საფერფლეს დაუწყო გაწევ-გამოწევა.

— სანამ თათბირს დავიწყებდით, — ხმას აუწია დირექტორმა. —კარგად მესმოდა, როგორ გაცხარებით კამათობდით დერეფანში ფეხბურთის გუშინდელი მატჩის გამო. იქ თქვენ არავინ გთხოვდათ აზრის გამოთქმას სწორი იყო პენალტი თუ არა, მაგრამ ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდით...

— შეიძლება? — მაშინვე წამოდგა ბრაიშტუგი.

— რა თქმა უნდა, გთხოვთ!

— საჭიროდ არ მიმაჩნია იმის მტკიცება, სწორი იყო თუ არა პენალტი, ეს ისედაც ნათელია, მაგრამ როცა მეკარემ ფეხში წაავლო ხელი მეტოქის თავდამსხმელს, მაპატიეთ, ეს უკვე...

— მოითმინეთ, მოითმინეთ. — შეაწყვეტინა დირექტორმა, — ჩვენ პენალტზე კი არა, კაპიტალდაბანდებაზე ვლაპარაკობთ, თქვენ კი აქ ვიღაცის ფეხებზე...

— დირექტორი მართალს ბრძანებს, — წამოხტა შტოფბაიხი, — რა შუაშია აქ ფეხები! ჯერ ერთი, მეკარეს არავისთვის არ წაუვლია ხელი ფეხებში, ის მომენტი ხომ გამეორებით გვაჩვენეს.

— მე მინდა შეგახსენოთ, კოლეგებო, რომ ჩვენ კაპიტალდაბანდებაზე ვლაპარაკობთ და არა ფეხბურთზე!

— სწორია! — ჩაერია კამათში მთავარი ბუღალტერი. — გუშინდელ ფეხბურთზე მართლაც რომ არ ღირს ლაპარაკი! როცა ოცი კაცი ძლივს დაღოღავს მინდორზე, განა შეიძლება ამას ფეხბურთი უწოდო?

— მე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, — მკაცრად თქვა დირექტორმა, — რომ ჩვენი საუბრის ძირითად საკითხზე გამოთქვათ აზრი!

— რა თქმა უნდა! — წამოდგა განყოფილების გამგე ბროკმაიერი. — მე ვერ დავეთანხმები ჩემს წინ გამოსული ამხანაგის აზრს, რა შუაშია ვინ როგორ დაღოღავს მინდორზე, მთავარი ისაა, რომ პენალტი სავსებით სამართლიანი იყო და ამ ფაქტს ვერაფერი შეცვლის!

— კაპიტალდაბანდება! — უკვე მთელი ხმით იყვირა დირექტორმა, მაგრამ მისი ხმა აღარავის ესმოდა.

— ეს ვერაფერი ფაქტია! — იღრიალა მთავარი ინჟინრის მოადგილემ. — ეს თქვენთვის არის ფაქტი და არა ჩვენთვის!

— თამაში თუ არ შეგიძლია, არც უნდა გახვიდე მინდორზე!— იყვირა ვილაცამ.

— კაპიტალდაბანდება!

— მაინც, როგორ გინდა ითამაშონ?

— დიდი ამბავი, ფეხში თუ წაავლო ხელი! თავში ხომ არ ჩაარტყა!

— სხვა მის ადგილზე...

— მე, მაგალითად, თავსაც გავუტეხავდი!

— პენალტი...

— შენ ფეხბურთისა რა გესმის...

დირექტორი ადგა და კაბინეტიდან გავიდა. დისკუსია კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

გერმანულიდან თარგმნა
ლილი მაისურაძემ.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 83 წლისა გარდაიცვალა ჩვენი სპორტის დიდი ამაგდარი, საქართველოსა და თბილისის მრავალგზის ჩემპიონი ჩოგბურთში, 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი

იანი გომერი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 15454